USAID
ამერიკელი ხალხისგან

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ხედვა

2022 – 2028

2022-2025

20
22 -
20
28



ეკონომიკის განვითარების სწრაფვადი ხედვა

ეკონომიკური ჯგუფის შემადგენლობა:

ზურაბ ჭიაბერაშვილი
ვატო ლეჟავა
გიორგი პაპავა
ნიკოლოზ ალავიძე
ნინო ევგენიძე
ალექსი ხოროშვილი
ანდრია ურუშაძე
დავით გზირიშვილი
რესან ქიქავა
ირინა გურული

დოკუმენტი მომზადდა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა (EPRC) და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ერთობლივი პლატფორმის ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და იგი არ ასახავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

© 2021. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გლობალურ პანდემიამდე 5

ეპიდემიის მართვა საქართველოში 8

ეკონომიკა პანდემიის პირობებში და მის მიღმა 11

მომავლის ჩვენეული ხედვა 13

დანართი 16

წინასიტყვაობა

2020 წელი საქართველომ 6.1%-იანი ეკონომიკური ვარდნით დაასრულა. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 3.8%-ით[1], ხოლო მათთვის გადახდილი ხელფასები 6.1%-ით შემცირდა[2]. წინასწარი შეფასებით, 2021 წლის იანვარში ეკონომიკური ვარდნა 11.5%-ია, ხოლო თებერვალში 5.1%, იანვარ-თებერვლის საშუალო ვარდნამ 8.3% შეადგინა[3].

რა თქმა უნდა, გლობალური პანდემია ამ უმძიმესი კრიზისის მთავარი ფაქტორია. პანდემიის დაწყების მომენტისთვის საქართველოში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 28% იყო[4], ხოლო ტურიზმიდან შემოსავალი – 2,611 მლნ აშშ დოლარი, რაც მშპ თითქმის 15%-ია[5]. 2020 წელს საქართველომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 83.4% დაკარგა[6,7].

იმავდროულად, მიგვაჩნია, რომ საქართველოს შეეძლო დღეს შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ყოფილიყო, რომ არა შემდეგი 2 ფაქტორი:

1. როგორი ეკონომიკური მდგომარეობით შეხვდა ქვეყანა გლობალურ პანდემიას;
2. როგორ იმართა ეპიდემია ქვეყნის შიგნით.

---

1 სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა), 2020 წლის IV კვარტალი, საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 19.02.2021. დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი, 2019 წლის IV კვარტალთან შედარებით, 74500 ადამიანით შემცირდა, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხვი – 4900 ადამიანით.

2 საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა, Galt & Taggart, 15.02.2021, შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

3 „ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება“, საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 31.03.2021

4 https://www.visualcapitalist.com/countries-reliant-tourism/ ეყრდნობა მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს https://wttc.org/ მონაცემებს.

5 საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური მიმოხილვა, იანვარი 2021

6 საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა, Galt & Taggart, 15.02.2021

7 თურქეთმა მოახერხა ტურიზმში 2019 წლის მაჩვენებლის 1/3-ით შენარჩუნება და, შედეგად, 2020 წელს თურქეთმა ეკონომიკის ზრდა მცირედით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გლობალურ პანდემიამდე

2020 წლის დასაწყისისთვის დოლარში გამოსახული მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 2013 წლის მაჩვენებლის დონეზე იყო, რამაც ეკონომიკურად „დაკარგული“ 6 წელი წარმოშვა (გრაფიკი #1).

გრაფიკი#1 მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



წყარო: საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2019 (დაზუსტებული), საქსტატი, 16.11.2020

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა გაანალიზა[8], რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. კვლევამ აჩვენა, რომ 2013-2019 წლებში საქართველოს მშპ-ს უარყოფითი გეპი (პოტენციალის აუთვისებლობა)[9] ჰქონდა. (იხილეთ **დანართი #1**).

2016 წლის შემდეგ, ქვეყანაში კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა. 2017-2019 წლებში არასახელმწიფო, ანუ კერძო სექტორში დასაქმებულთა რა-

[8] საქართველოს 2019 წლის მაკროეკონომიკური გარემო, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, გვ.7-8, http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/makro_cliuri_2019.pdf

[9] მშპ-ს გეპი არის სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის. პოტენციური მშპ ითვლება იმ პოტენციალის გაანგარიშებით, რაც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა.

ოდენობა 26.4 ათასით შემცირდა. იმავდროულად, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 27.8 ათასით გაიზარდა[10,11], ანუ პროდუქტიული სამუშაო ადგილები ჩანაცვლდა საქმიანობით, რომლიც დიდწილად ეკონომიკისათვის უღელს წარმოადგენს.

2018-2019 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (**გრაფიკი #2**).

გრაფიკი#2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2007-2019 წლებში



წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2019 (დაზუსტებული), საქსტატი, 17.08.2020

ამის საპირისპიროდ, გაიზარდა სახელმწიფო ვალი მშპ-ს 32%-დან (2012) 40%-მდე (2019). ამან შეამცირა „ფინანსური ბალიში", რომელიც ქვეყანას კრიზისების პერიოდში შეიძლებოდა დასჭირვებოდა.

2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში წლიური ინფლაციის დონე 7% იყო, ხოლო საშუალო ინფლაციის დონე – 4.6%.

[10] https://factcheck.ge/ka/story/38996

[11] ეგნატე შამუგია, „დასაქმება საჯარო სექტორში – რამდენად დიდია ბიუროკრატია?", ტაბულა, 04.09.2019 https://tabula.ge/ge/news/630365-dasakmeba-sajaro-sektorshi-ramdenad-didia

ბოლო წლების ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად აისახა სიღარიბეზე. 2017 წელს, Welfare Monitoring Survey-ს მე-5 ეტაპმა ქვეყანაში სიღარიბის ზრდის ტენდენცია აჩვენა[12] სხვადასხვა ჯგუფებში – ბავშვები, პენსიონერები, მთლიანი მოსახლეობა. (სიღარიბის მაჩვენებლები წლების მიხედვით იხილეთ **დანართში #2**).

არაარგუმენტირებულია ეკონომიკური სირთულეების მხოლოდ საგარეო უარყოფითი ფაქტორებით ახსნა, რადგან (ა) იმავე პერიოდში უკეთესი ეკონომიკური შედეგები აჩვენეს რეგიონის სხვა ქვეყნებმა; (ბ) საშუალოვადიან პერსპექტივაში არ ჩანს ისეთი საგარეო დადებითი ფაქტორები, რომლებიც თავისთავად, სწორი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გარეშე, მოგვცემს რაიმე შედეგს.

[12] საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა, UNICEF, 22 ოქტომბერი, 2018

ეპიდემიის მართვა საქართველოში

გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა COVID-19 ეპიდემიის გავრცელების ხანგრძლივი დროით შეკავებას, ზოგიერთი ეგზოტიკური მეთოდისგან დამოუკიდებლადაც, (ქუჩების მორეცხვა, მანქანის წინა სავარძელში მგზავრობის აკრძალვა), მიუღწეველი და წინასწარ მარცხისთვის განწირული ამოცანა იყო.

ასეთმა მიდგომამ პრობლემა მხოლოდ გადაავადა და, დიდწილად, ინფექციის გავრცელების კუმულაციური ეფექტი მოგვცა.

შედეგად, გლობალური მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი შეზღუდვების ფონზე, ნოემბერში, ასევე გლობალური მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე უარესი ეპიდემიური სიტუაცია მივიღეთ.

შემოდგომაზე საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ქვეყანა აღმოჩნდა, მილიონ მოსახლეზე გადათვლით, როგორც ინფექციის გავრცელების, ისე გარდაცვალების მაჩვენებლებით[13].

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) ჩამოყალიბებულმა საზოგადოებრივ-ექსპერტული ჯგუფმა, რომელმაც ჯანდაცვისა და ეკონომიკის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებისა და სხვადასხვა პოლიტიკური აფილიაციის 15 ექსპერტი გააერთიანა, უკვე 2020 წლის აპრილში მთავრობას COVID-19 ინფექციით გამოწვეული კრიზისის მართვის გეგმის საკუთარი ვერსია წარუდგინა[14].

[13] პანდემიის მართვა: COVID-19. გაკვეთილები საქართველოდან, EPRC, 2021

[14] „რჩევები ეპიდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოსახსნელად. ნაწილი I – ჯანდაცვა“, EPRC, აპრილი, 2020 https://eprc.ge/uploads/Rchevebi_Epidemia_Geo_1-1.pdf
„რეკომენდაციები შეზღუდვის პოლიტიკიდან გამოსასვლელად. ნაწილი II – ეკონომიკა“, EPRC, აპრილი, 2020 https://eprc.ge/uploads/Rchevebi_Epidemia_II_Geo.pdf

ზუსტად იქიდან გამომდინარე, რომ (ა) ხედავდა საქართველოს ეკონომიკური მახასიათებლების სიმყიფეს, და (ბ) COVID-19 ეპიდემიის გავრცელების ხანგრძლივი დროით შეკავების შეუძლებლობას, ჯგუფი გაუმართლებლად მიიჩნევდა იმ ტიპის „ლოქდაუნს“, რომელიც საქართველოში 13 მარტიდან დაიწყო და 8 ივნისამდე გაგრძელდა. ოქსფორდის უნივერისიტეტის მიერ შემუშავებული შეზღუდვების სიმკაცრის ინდექსით საქართველო მოხვდა მსოფლიოს იმ 15 ქვეყნის რიცხვში, სადაც პანდემიის მიმდინარეობისას მაქსიმალური შეზღუდვა, 100 ქულა დაფიქსირდა.[15]

„ინფიცირების ახალი შემთხვევის თანდათანობით მატება დასაშვებია, თუ მას უმკლავდება სამედიცინო სისტემა; დარჩეს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომელთა გაუქმება ქმნის ინფექციის ახალი შემთხვევის მკვეთრი მატების საფრთხეს, რათა შემსუბუქდეს ის სოციალური, ეკონომიკური და ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული შოკი, რომელსაც ქვეყანა იღებს“ – წერდა ჯგუფი რეკომენდაციების მეორე სერიაში[16], რომელიც მთავრობას 2020 წლის 1 მაისს გაეგზავნა.

მთავრობამ 1.6 მლრდ ლარის ეკონომიკური და 1.2 მლრდ ლარის სოციალური დახმარების პაკეტის ხარჯი (მშპ-ს 5.3%[17]) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხებით დაფარა (იხილეთ **დანართი #3**). შედეგად, ქვეყნის მთავრობის ვალი მშპ-სთან მიმართებაში 40%-დან 60%-მდე გაიზარდა[18]. ამასთან, 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა 886 მლნ დოლარის რეზერვები გაყიდა.

მთავრობის ეკონომიკური და სოციალური დახმარების პაკეტის მიუხედავად, გლობალური პანდემიითა და გაზაფხულის „ლოქდაუნით“ გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის შედეგად, შემოსავლების კლება ძირითადად დაბალშემოსავლიან ოჯახებში მოხდა (შემოსავლები: 0-300 ლარი და 301-500 ლარი). ეს მიუთითებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მწვავედ შეეხო ღარიბ მოსახლეობას[19]. (მოსახლეობის დაყოფა შემოსავლების ოდენობის მიხედვით 2019 წელს იხილეთ **დანართში #4**).

---

15 „კოვიდ-19-ის ეპიდემია, არის თუ არა რეაქცია საფრთხის შესაბამისი“, EPRC, ნოემბერი 2020, გვ. 45

16 https://eprc.ge/uploads/Paper_geo-1.pdf

17 COVID-19 in the Black Sea Region - Part II, Black Sea Bulletin, PMCG-Ukraine, 20.01.2021

18 ფინანსთა სამინისტროს ანგარიში, 2020

19 „მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის, პრევენციული ქცევების და საჯარო ნდობის მონიტორინგი (კვლევა) კორონავირუსის პამდემიის ფონზე საქართველოში – პირველი, მეორე და მესამე ტალღის კვლევების ანალიტიკური ანგარიში“, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის და გაეროს ბავშვთა ფონდი, მაისი, 2020.

გაზაფხულზე გამოცხადებულმა „ლოქდაუნმა“ და ეკონომიკის ტოტალურმა ჩაკეტვამ ვერც ეპიდემიის კონტროლის თვალსაზრისით მოიტანა რაიმე შედეგი და ეკონომიკის, ბიზნესის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროები კი დიდად აზარალა.

დღევანდელი დღისთვის ჯერ კიდევ უცნობია შემოდგომა-ზამთრის „ლოქდაუნის“ ზუსტი ეკონომიკური და სოციალური შედეგები, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი მხოლოდ გააუარესებდა ისედაც მძიმე მდგომარეობას[20].

რაც ყველაზე მთავარია, პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არათუ ხელს არ უწყობს პანდემიამდე არსებული პრობლემების აღმოფხვრას, არამედ პირიქით, აძლიერებს კიდეც მათ. მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა, გაუმჭვირვალობა და არაპროგნოზირებადობა უარყოფითად მოქმედებდა ბიზნესის აქტივობაზე.

[20] ამის ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს ბიზნესის და ფიზიკური პირების პრობლემური ვალების პორტფელის 10%-მდე გაზრდა. წყარო: „ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები“, საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304, აგრეთვე, https://bm.ge/ka/article/koba-gvenetadze-umoqmedo-sesxebis-wilis-zrdaze-prognozs-aketebs/74981

ეკონომიკა პანდემიის პირობებში და მის მიღმა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზაფხულზე COVID-19 ეპიდემიის გავრცელების ხანგრძლივი დროით შეკავების ამოცანად დასახვა თავისთავად იყო მიუღწეველი და კონტრპროდუქტიული ამოცანა.

მთავრობამ შემოდგომაზე თითქოს კი შეცვალა მიდგომა და ალაპარაკდა "წერტილოვან შეზღუდვებზე" და „ვირუსთან თანაცხოვრებაზე", მაგრამ არასაჭირო ეკონომიკური ზიანი ქვეყანამ უკვე მიიღო და ეპიდემიური სიტუაციის მართვის თვალსაზრისითაც სარგებელი ვერ ნახა.

ამჟამად კვლავ ვდგავართ შეცდომის დაშვების საფრთხის წინაშე. მთავრობა 26 ნოემბერს დაწესებული შეზღუდვების მთლიანად მოხსნასა და ეკონომიკის ამოქმედებას საზოგადოებრივი იმუნიტეტის გამომუშავებას უკავშირებს. დაგვიანებით და დაბალი ტემპით ვაქცინაციის პროგრამის ფონზე მოსახლეობის მინიმუმ 75%-ის ვაქცინაცია 2021 წლის ბოლოსთვის არარეალისტური ჩანს[21]. მაღალი ალბათობით, ეს 2022 წელს მოხდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი არსებული ვაქცინები ვირუსის მანამდე გაჩენილ შტამებს წარმატებით გაუმკლავდებიან.

ამ ფონზე, ცხოვრების მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება Covid-19-ის ეპიდემიის დაძლევამდეც უნდა მოხერხდეს, რა თქმა უნდა, ინფექციის გავრცელების რისკების მაქსიმალური შემცირებით. ბიზნესში ამის მოლოდინია (იხილეთ **დანართი #5**). უნდა გავაცნობიეროთ, რომ სამთავრობო ვალის მუდმივი ზრდა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე დაგვაყენებს, გრძელვადიან პერიოდში.

2020 წლის აგვისტოში სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს შეუნარჩუნა BB რეიტინგი, მაგრამ ნეგატიური მოლოდინით. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ აღნიშნა[22]: „პანდემია

[21] მთავრობის მიერ დასახული გეგმის თანახმადაც 2021 წელს სულ 60%-ის მიღწევაა დასახული მიზნად.
[22] https://www.fitchratings.com/research/sovereigns/fitch-affirms-georgia-at-bb-outlook-negative-14-08-2020

იწვევს საქართველოს მცირე ზომის, ღია, დიდწილად ტურიზმზე დამოკიდებული ეკონომიკის მკვეთრ შემცირებას, ფისკალური დეფიციტის და ვალდებულებების ზრდას; BB კატეგორიის რეიტინგში შემავალ ქვეყნებთან შედარებით, გაზრდილია საგარეო ვალის ზრდასთან და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან დაკავშირებული რისკები".

2021 წლის თებერვალში სარეიტინგო კომპანია Standard&Poor-მა ასევე შეუნარჩუნა საქართველოს BB/B რეიტინგი, თუმცა მოლოდინი სტაბილურიდან ნეგატიურზე დააქვეითა. S&P თქმით, შესაძლოა მათ დაწიონ რეიტინგი, თუ: 1) მიიჩნევა, რომ ეკონომიკური ზრდის შენელება უფრო დიდ ხანს გაგრძელდება, რაც საფრთხეს შეუქმნის ფისკალური და საგარეო ფინანსების კონსოლიდირებას საქართველოში; 2) ორმაგი დეფიციტის დასაფინანსებლად, ქვეყანა ორიენტირებული იქნება კაპიტალის ნაცვლად სავალო საგარეო შემოდინებებზე.

როგორც ვაჩვენეთ, საქართველოს ეკონომიკურად არცთუ სახარბიელო შედეგები ჰქონდა გლობალურ პანდემიამდეც. ამიტომ ძალაშია იგივე, რაც აუცილებელი იყო 2020 წლამდეც. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის დინამიკის დაბრუნებას დასჭირდება მთელი რიგი მიდგომების შეცვლა.

გასათვალისწინებელია, რომ გლობალური პანდემია შესაძლებლობების ფანჯარასაც ხსნის: რომელი ქვეყანაც უფრო სწრაფად მოახდენს ახალ გარემოსთან ადაპტაციას და თავისი კონკურენტული უპირატესობის გაზრდას, ის შეძლებს კაპიტალის მოზიდვას.

მომავლის ჩვენეული ხედვა

მომავლის ჩვენეული ხედვა ასეთია:

პირველი რიგის ამოცანაა სასამართლოს რეფორმა. მის გარეშე ინვესტიციების გადინების ტენდენციის შენარჩუნების რისკი დიდია, ხოლო ინვესტორის მოზიდვა, გლობალური კონკურენციის ფონზე, შეუძლებელი იქნება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია პოლიტიკური პარტიების 2020 წლის 13 მარტის მემორანდუმის პრინციპების[23] ირგვლივ ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის დაწყება და შეთანხმებამდე მისვლა. ამასთან, ინვესტორთა თვალში საქართველოს დაზიანებული იმიჯის აღდგენის პროცესში მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო არბიტრაჟისათვის მიმართვის შესაძლებლობათა გაფართოებას.

მოკლევადიანი (მიმდინარე წელსვე):

- ეკონომიკის დროული გახსნა; ეპიდემიური ეკონომიკის ბლანკეტური, დივერსიული და დისკრეციული მართვიდან მართლაც მისამართულ/მიზნობრივ მართვაზე და რეაგირებაზე გადასვლა: დროის, ადგილის და ტემპის შერჩევა ეპიდემიოლოგიური ინტერვენციებისათვის ეკონომიკაში – lock-down-ების მიდგომიდან, lock-out-ების (იზოლირების) პრინციპზე გადასვლა[24].
- თანმიმდევრული, პროგნოზირებადი ქმედებები, რომლებიც გაზომვად ინდიკატორებზე იქნება დამოკიდებული და არა „თათბირის“ შედეგებზე, და რომლებიც საკმარის დროს უნდა იძლეოდეს კერძო სექტორის რეაგირებისთვის;

[23] https://www.girchi.com/ge/media/news/2441-opozitsiam-sasamartlo-reformis-taobaze-memorandumi-gaaporma

[24] სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები შეზღუდვის პოლიტიკიდან გამოსასვლელად (ნაწილი II ეკონომიკა) https://eprc.ge/uploads/Rchevebi_Epidemia_II_Geo.pdf ; დოლიძე, ლ (2021) კოვიდ 19-ის პანდემია – არის თუ არა რეაქცია საფრთხის შესაბამისი https://eprc.ge/uploads/Lasha_Dolidze_-_COVID19.pdf ; სამუშაო ჯგუფის ანალიზი და რეკომენდაციები ჯანდაცვის სექტორი შესაძლებლობების გაძლიერება და გადაუდებელი მზადყოფნა COVID-19 შემდგომი ტალღებისთვის https://eprc.ge/uploads/Small-Book-6.pdf; დოლიძე, ლ (2021) COVID-19 საერთაშორისო ეკონომიკური ტენდენციები და მოსაზრებები საქართველოს ეკონომიკის პოსტკირიზისული პერსპექტივების შესახებ https://eprc.ge/uploads/L.Dolidze_-_Economic_Tendencies_Geo.pdf

- სექტორულ დახმარებებზე, ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამებსა და სუბსიდირებაზე, თუნდაც მოკლევადიანზე, უარის თქმა[25]. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კერძო სექტორის მხარდამჭერი პროგრამების დიდი ნაწილი ვერ აღწევს დეკლარირებულ მიზნებს და, ხშირ შემთხვევაში, უკვე კარგად ჩამოყალიბებული, ბაზარზე მყარად დაფუძნებული მსხვილი კომპანიების სუბსიდირებას ახდენს. პროგრამების უმეტესობა (განსაკუთრებით ფასების კონტროლზე ორიენტირებული ღონისძიებები) მნიშვნელოვნად ამახინჯებს თავისუფალი ბაზრის ოპერირებას და კერძო სექტორს უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისკენ, რომელიც, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაზრდას არ ემსახურება. ამასთანავე, პროგრამების ნაწილი, რომელთა დეკლარირებულ მიზნად ბიზნესის განვითარებაა დასახული, რეალურად სოციალური ხასიათის პროექტებია. შესაბამისად, როდესაც მათ განხორციელებაში ბენეფიციართა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინება არ ხდება, ეს დამატებით რისკს ქმნის საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი გამოყენების მიმართულებით. რომ შევაჯამოთ, მნიშვნელოვანია მკვეთრად შემცირდეს აღნიშნული პრაქტიკა; და მხოლოდ წინასწარ, მკაფიოდ გაწერილი მიზნის, განხორციელების გეგმისა და შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მოხდეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამ რთულ პერიოდში, ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება;
- საგადასახადო, ბიუროკრატიული/არასაგადასახადო წნეხისა და მთავრობის ზომის შემცირების დაწყება[26]; მთავრობის ზომას განსაზღვრავს გადასახადების და რეგულატორული წნეხის ერთობლიობა. პირდაპირი და ირიბი რეგულატორული დანახარჯები ბიზნესის ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და საჭიროა ამ წნეხის სისტემური და მაქსიმალური შემსუბუქება, მისი დაყვანა მხოლოდ იმ რეგულაციებამდე, რომლებიც საქართველოს მიერ აღებულ პირდაპირ საერთაშორისო ვალდებულებებს წარმოადგენს. ასეთი ვალდებულებები, ყველა შესაძლო შემთხვევაში, ინტერპრეტირებული უნდა იყოს ბიზნესის სასარგებლოდ. ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო წნეხის შემცირება არსებულთან შედარებით -3-4 საპროცენტო პუნქტი, აქცენტით საშემოსავლო გადასახადის შემცირებაზე, რათა ხელი შეეწყოს დასაქმებას და საქართველოს საგადასახადო რეჟიმი თვალსაჩინოდ უკეთესი იყოს კონკურენტი ქვეყნების საგადასახადო რეჟიმზე.
- უნდა გაუქმდეს „თავისუფლების აქტის“ მოქმედების ვადის დათქმა და მას მუდმივმოქმედი ორგანული კანონის სტატუსი შეუნარჩუნდეს.

---

[25] აუცილებელია, გაკეთდეს სუბსიდირების სამთავრობო პროექტების ეფექტურობის აუდიტი. უმეტეს შემთხვევებში ეს პროექტი ერთმანეთს ფარავენ და აქვთ ნულოვანი ეფექტურობა. არადა ეს პროექტები აღებული ვალების ხარჯზე ფინანსდება.

[26] იმ 54 ქვეყნიდან, რომლებმაც ბოლო 2014-2018 წლებში საქართველოზე (4%) მეტი მშპ-ს საშუალო 5-წლიანი ზრდა აჩვენეს, მხოლოდ 4-ია, სადაც საგადასახადო წნეხი (გადასახადები/მშპ) საქართველოზე (25.7%) მეტია, ხოლო 15, სადაც მთავრობის ზომა (საჯარო დანახარჯები/მშპ) საქართველოსას (29.6%) აღემატება.
იხილეთ, https://www.heritage.org/index/explore?view=by-variables&u=637493044404830906

საშუალოვადიანი (2022-2025):

- სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება საპარტნიორო ფონდის ჩათვლით; (სახელმწიფო საწარმოების ზარალიანობის შესახებ იხილეთ **დანართი #6**)
- აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე პროგრესის მიღწევა;
- ტურიზმის აღდგენის ჭრილში გეგმა, რადგან ეკონომიკური ზრდის ყველა მოსალოდნელი პროგნოზი ტურიზმის გაცოცხლებაზეა დამოკიდებული; COVID19-ის ფონზე ტურისტულ ბაზარზე შეცვლილი მოცემულობის, მომხმარებელთა ქცევის, პრეფერენციების და ა.შ. გათვალისწინებით, უახლეს კვლევებზე დაყრდნობით, არსებული მიზნების და პოზიციონირების გადახედვა, სტრატეგიული გეგმის შემუშავება და განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების ალოკაცია. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ამ გეგმის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი შემადგენელია;
- საძირითადო, რომელიც „პარკინგი" ბიჯი მდიდარი ადამიანისთვის. ეს გაზრდის საქართველოში ფინანსური კაპიტალის შემოდინებას. სასამართლო რეფორმა, მიმზიდველი საგადასახადო გარემო, მარტივი, მკაფიო რეგულაციები და უსაფრთხო გარემო „პარკინგის" კონცეფციის წინაპირობებია.

გრძელვადიანი (2022-2028):

- განათლების რეფორმა, რომელმაც უნდა გაზარდოს საქართველოს მოქალაქეების (ა) კონკურენტუნარიანობა დასაქმების გლობალურ ბაზარზე, და (ბ) პოტენციალი, დასაქმდეს ეკონომიკის უფრო პროდუქტულ სექტორებში. ამ რეფორმის შედეგად, ქვეყანაში უნდა გაჩნდეს კვალიფიციური მუშახელი ეკონომიკის სხვადასხვა სექტროში, რაც ასევე გაზრდის საქართველოს მიმზიდველობას საერთშორისო ინვესტორებისათვის. განათლების რეფორმა უნდა დაეფუძნოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურ (ინსტიტუციური დაფინანსების შეზღუდვა, ვაუჩერული დაფინანსება, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების თანასწორობა) და მმართველობით (სკოლის საბჭოები, უნივერსიტეტების ავტონომია) ეფექტიან ავტონომიას, დეცენტრალიზაციის და პლურალიზმის პრინციპს.
- ადმინისტრაციული რეფორმა, რომელმაც უნდა გააძლიეროს ადგილობრივი თვითმმართველობები მათთვის მეტი კომპეტენციისა და ფინანსების გადაცემით. ადგილობრივი თვითთმართველობის დონეზე მეტი პოლიტიკური პლურალიზმის (მრავალპარტიული საკრებულოები, სხვადასხვა პარტიის/კოალიციის მიერ უმრავლესობის მოპოვება სხვადასხვა საკრებულოში) დამკვიდრებამ და არჩევითი პოზიციების დამატებამ უნდა გაზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და შეამციროს კორუფციული რისკი.
- ურბანიზაციის პოლიტიკა, რომელიც ისეთი საკვანძო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში უნდა გამოიხატოს, რომელიც ხელს შეუწყობს (ა) რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას, და (ბ) სამუშაო ძალის მაღალპროდუქტულ სექტორებში გადანაცვლებას.

დანართი

დანართი #1

დიაგრამა#4. მშპ-ის ზრდა



წყარო: საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება

დანართი #2



წყარო: THE WELFARE MONITORING SURVEY 2017 (Summary), UNICEF, 2018

რეაგირება გამოწვევებზე - ბიზნესის მხარდაჭერა

1,6 მილიარდ ლარზე მეტი

ბიზნესის მხარდაჭერის მიზნებისათვის განხორციელდა 1,6 მილიარდ ლარზე მეტის მობილიზება

მხოლოდ საშემოსავლო გადასახადის შეღავათით ისარგებლა 33 ათასზე მეტმა კომპანიამ 425 ათასზე მეტ სამუშაო ადგილზე



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო StopCoV.ge 7

რეაგირება გამოწვევებზე - მოქალაქეთა დახმარება

1,2 მილიარდ ლარზე მეტი

მოქალაქეთა დახმარების მიზნით გამოიყო 1,2 მილიარდ ლარზე მეტი

- სხვადასხვა სახის ფულად დახმარებას იღებს 1 მილიონ 700 ათასამდე ჩვენი მოქალაქე;
- კომუნალური ხარჯების სუბსიდირებით სარგებლობს 2,5 მილიონამდე მოქალაქე



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო StopCoV.ge 6

პანდემიამდე არსებული ფისკალური მაჩვენებლები

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები მშპ-სთან

საბიუჯეტო დეფიციტი



საგადასახადო შემოსავლები (მლრდ ლარი)

მთავრობის ვალი (მშპ-ს პროცენტი)



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



წყარო: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის ივლისის გამოკითხვის შედეგები, ჩატარებულია NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ, https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf

წყარო: https://iset-pi.ge/index.php/en/business-confidence

დანართი #6



წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი